ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ ქალაქ ზიგდიდის N3 საჯარო სკოლა, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება*)*

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
წევრ(ებ)ი:
თამარი კვანტიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	219985327

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ზუგდიდი
ფაქტობრივი მისამართი	რუსთაველის ქ. N192
საფოსტო ინდექსი	2100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	zugdidi3@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 0 25 0000901693, 22/07/2025 წ.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2025 წლის 20 და 21 აგვისტო

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 22 ივლისის MES 0 25 0000901693 *ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ა.წ . 20 და 21 აგვისტოს განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი სსიპ ქ.ზუგდიდის N3 საჯარო სკოლაში. მის: ქ.ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N192*

არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული "ა.ა)","ა.ბ)","გ.ა)","გ.დ)", "გ.ე)" და "გ.ვ)" კომპონენტების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ჩატარდა ინტერვიუირება, სკოლის ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან.

ინტერვიუირებისას ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია ავტორიზაციის სტანდარტთან დაკავშირებით.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, შემოწმდა წინა ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი, შემოწმების შედეგები ასახული იქნა წინამდებარე დოკუმენტში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
1000	715

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ 2025 წლის 04 სექტემბრის MES 2 25 0001068924 კორესპონდენციით წარმოადგინა, არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ეხება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას ხარვეზთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ,

ინდიკატორი N3.5.1.4.

დასკვნის პროექტში დაფიქსირებული ხარვეზი:

- *სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის მისადაგებული სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე, კერძოდ სკოლის შენობა არ იძლევა, სკოლის პირველ სართულზე განთავსებულ სპორტულ დარბაზში, მეორე და მესამე სართულზე არსებულ სივრცეებში ეტლით მოსარგებლე პირთა გადაადგილების საშუალებას.*

სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, სკოლამ სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ჩართულობით შესაბამისი ღონისძიებები უნდა განახორციელოს 2026 წლის სექტემბრის ჩათვლით.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.5.1.4.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2026 წლის სექტემბერი) უზრუნველყოს, სკოლის ინფრასტრუქტურის მისადაგება სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე, იმგვარად რომ შესაძლებელი იყოს პირველ სართულზე განთავსებულ სპორტულ დარბაზში, მეორე და მესამე სართულზე არსებულ სივრცეებში ეტლით მოსარგებლე პირთა გადაადგილება.*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N 1.1.1.3	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით*	*სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდის მიზნით, სხვადასხვა ფორმით, ონლაინ და ფიზიკური შეხვედრების ჩატარების გზით პროცესი გახადოს უფრო ინტერაქტიული.*
ინდიკატორი N 1.2.1.4	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია*	*სამოქმედო გეგმის შედგენისას გაითვალისწინოს სკოლის წინაშე არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები, მნიშვნელოვანია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნების შესრულების შესაძლებლობა, აისახოს კონკრეტულ ქმედებებში. სასურველია სამოქმედო გეგმა შემუშავებულ იქნას მტკიცებულებებზე დაფუძნებული და შედეგებზე ორიენტირებული პრინციპების შესაბამისად.*
ინდიკატორი N 1.2.2.2	*მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით*	*სტრატეგიული დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების თითოეული პროცესი განახორციელოს იმგვარად რომ უზრუნველყოფილი იქნას პრობლემის იდენტიფიცირება, მისი გადაწყვეტისა და სკოლის განვითარების გზები.*

სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N 3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)*	• *ვიდეოსათვალთვალო სისტემის მოწყობის სამუშაოების დაფინანსების მიზნით, განმეორებით მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს.* • *შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად დაგეგმილი სამუშაოების დაფინანსების მოთხოვნით, განმეორებით მიმართოს შესაბამის ადმინსტრაციულ ორგანოებს.* • *გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა.*
ინდიკატორი N 3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობის 800 და მეტი მოსწავლის გაზრდის შემთხვევაში დამატებით აიყვანოს სამუშაოზე სკოლის ექიმი.*

ინდიკატორი N 3.4.1.5	*სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას*	*შეიმუშაოს მონიტორინგის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის მიერ შემუშავებული ,,სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმით" განსაზღვრული პროცედურების შესრულების პერიოდულ შეფასაებას, სასურველია სკოლამ შეადგინოს სასკოლო სივრცეების პერიოდული დასუფთავება-დალაგების გრაფიკი.*
ინდიკატორი N 3.4.1.6	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას*	*ა) უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სათანადო ჩართულობა მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უზრუნველყოს იგი შესაბამისი რესურსებით, აგრეთვე უზრუნველყოს მისი დამოუკიდებლობა საქმიანობის განხორციელებისას.* *ბ) ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია პროაქტიულად გამოაქვეყნოს სკოლის ვებგვერდზე ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით.* *გ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით შემუშავებული იქნას პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესახებ შიდა სასკოლო დოკუმენტი.*
ინდიკატორი N 3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*გარე სპორტული მოედნისა და ეზოს მოწყობის სამუშაოების დაფინანსების მოთხოვნით, მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს.*
ინდიკატორი N 3.6.2.1	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი*	*ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებული საკითხები სრულყოფილად დაარეგულიროს საქმისწარმოების წესით.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*	*რეკომენდაციების შესრულების სტატუსი*
ინდიკატორი N1.1.1.1	*სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს*	*სკოლამ უზრუნველყოს ახალი მისიის და ხედვის შემუშავება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით, ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზე დაყრდნობით.*	*შესრულებულია*
ინდიკატორი N1.1.1.2	*სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს*	*სკოლამ უზრუნველყოს ახალი მისიის და ხედვის შემუშავება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების როლს, სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურულ სივრცის ფორმირებაში.*	*შესრულებულია*
ინდიკატორი N1.1.1.3	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;*	*სკოლამ უზრუნველყოს ახალი მისიის და ხედვის შემუშავება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით.*	*შესრულებულია*
ინდიკატორი N1.1.1.4	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;*	*სკოლამ უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის კომუნიკაციის სხვადასხვა არხების გამოყენებით.*	*შესრულებულია*

ინდიკატორი N1.2.1.2.	*სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს*	*სკოლამ უზრუნველყოს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება.*	*შესრულებულია*
ინდიკატორი N1.2.1.3.	*სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;*	*სკოლამ უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე.*	*შესრულებულია*
ინდიკატორი N1.2.1.4.	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.*	*სკოლამ უზრუნველყოს 1 წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება სტრატეგიულ მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობების, შესრულების გაზომვადი ინდიკატორების, რეალისტური ვადების, პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურული ერთეულების და შესაბამისი რესურსების გათვალისწინებით.*	*შესრულებულია*
ინდიკატორი N 1.2.2.1	*სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;*	*სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმების შემუშავება.*	*შესრულებულია*
ინდიკატორი N 1.2.2.2	*მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და*	*სკოლამ უზრუნველყოს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიულ განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების*	*შესრულებულია*

	შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	*მონიტორინგი და შეფასება, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.*	
ინდიკატორი N 1.2.2.3	*სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;*	*სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გაზიარება სოციალურ ქსელში და ვებ. გვერზე, ასევე, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწეროს შედეგების გაზიარების მექანიზმები.*	*შესრულებულია*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***	
ინდიკატორი N3.1.2.3.	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	*სკოლის პედაგოგებმა უზრუნველყონ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და აგრეთვე, ცნობების უფლების ჩამორთმევის შესახებ წარმოდგენა.*	*შესრულებულია*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის*	*სკოლამ ურუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება*	*შესრულებულია*

	საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	*შესაბამის სამსახურთან;* *მოიპოვის დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;* *აღჭურვოს სრულად ექიმის კაბინეტი;* *უზრუნველყოს ექიმის საშტატო ერთეულის დამატება.*	
ინდიკატორი N3.4.1.5	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;*	*სკოლამ უზრუნველყოს სსსმ მოსწავლეებთან დაკავშირებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დაცვა, მათ შორის, სოციალური ქსელის შესაბამის გვერდზე.*	*შესრულებულია*
ინდიკატორი N3.5.1.2.	*დაწესებულებისინფრასტრუქტურა, მათ შორი საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;*	*სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში სველი წერტილის (ონკანი და გამოწოვი) მოწყობა. ასევე, უზრუნველყოს სპორტული დარბაზის გასახდელების რეაბილიტაცია.*	*შესრულებულია*
ინდიკატორი N3.5.1.3.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;*	*სკოლამ უზრუნველყოს სსსმ მოსწავლეებისთვის შიდა სპორტული დარბაზის და სააქტო დარბაზის ხელმისაწვდომობა.*	*არ არის შესრულებული*

ინდიკატორი N3.6.3.1.	*სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების სამუალებით;*	*სკოლამ უზრუნველყოს ვებ. გვერდის ფუნქციონირება.*	*შესრულებულია*
ინდიკატორი N3.6.3.4.	*სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზ შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებული ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;*	*სკოლამ უზრუნველყოს ვებ. გვერდის ფუნქციონირება და მასზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება სახელმწიფო ენაზე.*	*შესრულებულია*
ინდიკატორი N3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები,	*სკოლამ უზრუნველყოს ვებ. გვერდის ფუნქციონირება და მასზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება.*	*შესრულებულია*

	ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.		

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ქ.ზუგდიდის N 3 საჯარო სკოლის (შემდგომში- სკოლა) მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიით ხაზგასმულია პროფესიული მიმართულების ინტეგრირება და ხელშეწყობა მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უწყვეტი პროფესიული და პიროვნული განვითარებისათვის. სკოლის ხედვაა ფორმალური და არაფორმალური განათლების გზით დაინტერესებულმა პირებმა შეძლონ როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე პროფესიული განათლების მიღება. სკოლას წინა ავტორიზაციისას მიეცა რეკომენდაცია- ,, სკოლამ უზრუნველყოს ახალი მისიის და ხედვის შემუშავება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით, ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზე დაყრდნობით“, რომელიც შესრულებულია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიით ხაზს უსვამს მოსწავლეთა უსაფრთხო, პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირების აუცილებლობას, რაც გარანტიას ქმნის სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებისთვის. სკოლას წინა ავტორიზაციისას მიეცა რეკომენდაცია-,, სკოლამ უზრუნველყოს ახალი მისიის და ხედვის შემუშავება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების როლს, სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურულ სივრცის ფორმირებაში"; - რომელიც შესრულებულია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არის სკოლის სტრატეგიული გეგმის ნაწილი, რომლის შემუშავებისათვის სკოლას აქვს ჩატარებული გარკვეული სამუშაოები, ჩატარებულია მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვა (forms-ის მეშვეობით), აღნიშნულ კითხვარებში რამდენადმეა აქცენტი სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ. ასევე ხაზგასმულია ინტეგრირებული პროფესული პროგრამის განხორციელების საკითხი. (გაცემული პასუხი- 188) აგრეთვე სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია ჯგუფი: ,, სსიპ ქ.ზუგდიდის N 3 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების რევიზიაზე, სტრატეგიული განვითარების(შვიდწლიანი) გეგმის და სასკოლო გეგმაზე (2024-25 სასწ. წელი) მომუშავე შიდა სასკოლო ჯგუფის დამტკიცების შესახებ. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან მოსწავლეები, სკოლას შემუშავებული აქვს ფილოსოფიის რევიზიის დოკუმენტი, საქმიანობების განხორციელების კალენდრის მიხედვით ჩანს, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი ჩართულია სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და რევიზიის საკითხში. წინა ავტორიზაციისას სკოლა მიეცა რეკოენდაცია - ,, სკოლამ უზრუნველყოს ახალი მისიისა და ხედვის შემუშავება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით.", რომელიც შესრულებულია.

მშობლებთან, მოსწავლეებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასკოლო საზოგადოება მეტ-ნაკლებად ჩართული იყო სკოლის ფილოსოფიის რევიზიის საკითხში.

სკოლას მიეცა რჩევა- სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდის მიზნით, სხვადასხვა ფორმით, ონლაინ და ფიზიკური შეხვედრების ჩატარების გზით, პროცესი გახადოს უფრო ინტერაქტიული. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის რევიზიისას სასკოლო საზოგადოებასთან შემუშავებული კითხვარები. მისიის,ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული/სასკოლო გეგმის შემუშავების/რევიზიისათვის საჭირო ღონისძიებების

განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმები, სადაც საუბარია აღნიშნულ საკითხებზე, ჯგუფის წევრები არიან მოსწავლეები, სკოლის ფილოსოფია თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია სკოლის ფოიეში და ვებ-გვერდზე.
სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ მისი შემუშავებისა თუ რევიზირების ყველა ეტაპზე. წინა ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაცია- ,,სკოლამ უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის კომუნიკაციის სხვადასხვა არხების გამოყენებით"- შესრულებულია.
ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, ასევე განთავსებულია სკოლის ფოიეში, რაც უზრუნველყოფს მის საჯაროდ ხელმისაწყვდომობას. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება, სსიპ- ქალაქ ზუგდიდის N 3 საჯარო სკოლა, შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფილოსოფიის რევიზია/მეთოდოლოგია;
- დირექტორის ბრძანება(N2-155) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები;
- მისიის,ხედვისა და ღირებულებების შესახებ გამოკითხვის ბმული (სსიპ ქალაქ ზუგდიდის N 3 საჯარო სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება - პროფესიული - ინტეგრირებული.);
- დირექტორის ბრძანება- სსიპ ქ.ზუგდიდის N 3 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების რევიზიაზე, სტრატეგიული განვითარების(შვიდწლიანი) გეგმის და სასკოლო გეგმაზე (2024-25 სასწ.წელი) მომუშავე შიდა სასკოლო ჯგუფის დამტკიცების შესახებ;
- სამუშაო ჯგუფის ოქმი N 1;

- სკოლის ვებ.გვერდი(skolebi.emis.ge)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია/რევიზიის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს რეალური სიტუაციის ანალიზს, გაწერილია მიზნები და ამოცანები. ახლავს საქმიანობების განხორციელების კალენდარი, განსაზღვრულია შემუშავებაში ჩართული მხარეები, წარმომადგენლობითი ჯგუფები, ჩართული მხარეების ინფორმირებულობისა და წვლილის შეტანის სტრატეგიები. პრობლემების/საჭიროებების ანალიზისთვის შერჩეულია ინსტრუმენტი-პრობლემების ხე და SWOT ანალიზი. შევსებული ანალიზის ფორმები თან ახლავს სტრატეგიული განვითარების გეგმას და საფუძვლად ედება დაგეგმარებას. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლას დამტკიცებული აქვს შვიდწლიანი სტრაგეგიული გეგმა(2023-2030) რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან . მისი ნაწილია მისია,ხედვა, ღირებულებები.სტრატეგიული გეგმა დეტალურად ახდენს გარემო ფაქტორების SWOT ანალიზს. გეგმაში გამოყოფილია 4 სტრატეგიული მიმართულება:1) სკოლაში არსებული მოსახურებების გაუმჯობესება, პროფესიული განათლების მიწოდება; 2) STEM საგნების და ევროპული ენების (ინგლისური და გერმანული ენა) სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, როგორც ფორმალურ ასევე არაფორმალური (კლუბების სახით) მიმართულებით; 3) განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, მოსწავლეთა/სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა /მსმენელთა მხარდაჭერის სერვისების განვითარება; 4) სკოლის ორგანიზაციული განვითარება. თითოეული მიმართულება აერთიანებს რამდენიმე სტრატეგიულ მიზანს. რომლებიც თავის მხრივ იყოფა ამოცანებად/ქვეამოცანებად, სტრატეგიულ გეგმაშივე არის გამოყოფილი მოსალოდნელი შედეგები. წინა ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაცია- ,,სკოლამ უზრუნველყოს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება“- შესრულებულია.

ინდიკატორის მოითხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 წელს მოქმედი, სამოქმედო გეგმა, რომელიც არის ერთწლიანი და ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას. წინა ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაცია- ,, სკოლამ უზრუნველყოს 1 წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე“ შესრულებულია. **ინდიკატორის მოითხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე მას ახლავს შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, ვადები,პასუხისმგებელი პირები და ჩანაწერია რესურსების შესახებ, სამოქმედო გეგმაში მოცემული საკითხები შეესაბამება სკოლის საქმიანობას და მათი უზრუნველყოფა რეალურია, სკოლას წინა

ავტორიზაციისას მეიცა რეკომენდაცია - ,, სკოლამ უზრუნველყოს 1 წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება სტრატეგიულ მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობების, შესრულების გაზომვადი ინდიკატორების, რეალისტური ვადების, პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურული ერთეულების და შესაბამისი რესურსების გათვალისწინებით"- რომელიც შესრულებულია.

სკოლას მიეცა რჩევა სამოქმედო გეგმის შედგენისას გაითვალისწინოს სკოლის წინაშე არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები, მნიშვნელოვანია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნების შესრულების შესაძლებლობა, აისახოს კონკრეტულ ქმედებებში. **სასურველია სამოქმედო გეგმა შემუშავებულ იქნას მტკიცებულებებზე დაფუძნებული და შედეგებზე ორიენტირებული პრინციპების შესაბამისად.**

ინდიკატორის მოითხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სკოლის ფილოსოფიის რევიზია/მეთოდოლოგია;
- მისიის,ხედვისა და ღირებულებების შესახებ გამოკითხვის ბმული (სსიპ ქალაქ ზუგდიდის N 3 საჯარო სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება - პროფესიული - ინტეგრირებული.);
- დირექტორის ბრძანება- სსიპ ქ.ზუგდიდის N 3 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების რევიზიაზე, სტრატეგიული განვითარების(შვიდწლიანი) გეგმის და სასკოლო გეგმაზე (2024-25 სასწ.წელი) მომუშავე შიდა სასკოლო ჯგუფის დამტკიცების შესახებ;
- სამუშაო ჯგუფის ოქმი N 1;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი სახელწოდებით ,,სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება". მასში მოცემულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეასების გზები, ინტენსივობა, ვადები, პასუხისმგებელი პირები და სხვ. სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში მინიმუმ ერთხელ, რომელსაც ახორციელებს დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი, წარმოდგენილია ჯგუფის შექმნის ბრძანება და შეხვედრის ოქმი. მონიტორინგის ჯგუფი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიშის საფუძველზე ახდენს ანალიზს და ადგენს გეგმის გათვალისწინებული მიზნების შესრულება/არ შესრულებას თუ ნაწილობრივი შესრულების შეფასებას. მონიტორინგის ჯგუფმა შეიმუშავა სტრატეგიული გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის ანგარიში. წინა ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაცია ,, სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების შემუშავება" შესრუებულია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლას შემუშავებული აქვს 2024-2025 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ანგარიში, სადაც მოცემულია სამოქმედო გეგმის შესაბამისად აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურება. წარმოდგენილია სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ანგარიში, სადაც სტრატეგიული მიმართულებებისა და მიზნების შესაბამისად მონიშნულია ველები (შესრულდა/არ შესრულდა/ნაწილობრივ შესრულდა) წინა ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაცია- ,,სკოლამ უზრუნველყოს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიულ განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით" , სკოლის მიერ შესრულებეულია.

სკოლის წარმარტება მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია სწორ და თანმიმდევრულ სტრატეგიულ დაგეგმვასა და მისი შესრულების შეფასების შესაძლებლობაზე. აღნიშნული პროცესი აძლიერებს და ავითარებს სკოლას, როგორც ინსტიტუციას,

უქმნის მეტ შესაძლებლობას მოსწავლეებს, მასწავლებლებს, სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომდგენელს. სტრატეგიის განხორციელების ეფექტური მონიტორინგი და შეფასება კი სკოლას აძლევს საშუალებას განხორციელებული აქტივობები გახადოს უფრო მეტად გაზომვადი და შედეგებზე ორიენტირებული. ამავდროულად, უზრუნველყოს მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის შესაძლო რისკების იდენტიფიცირება და მათი დარეგულირებისთვის სწორი გზების დასახვა.

სკოლას მიეცა რჩევა სტრატეგიული დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების თითოეული პროცესი განახორციელოს იმგვარად რომ უზრუნველყოფილი იქნას პრობლემის იდენტიფიცირება, მისი გადაწყვეტისა და სკოლის განვითარების გზები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში სკოლას გამოქვეყნებლი აქვს ვებ გვერდზე. სკოლის ფილოსოფიის რევიზიის ჯგუფის დოკუმენტში იკითხება სტრატეგიულისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების გასაჯაროების შესახებ. წინა ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაცია - ,,სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გაზიარება სოციალურ ქსელში და ვებ. გვერდზე, ასევე, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწეროს შედეგების გაზიარების მექანიზმები“ შესრულებულია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში ,,სსიპ ქ.ზუგდიდის N 3 საჯარო სკოლის სტრატეგიულიდა სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება“, განსაზღვრულია შესრულების შედეგების საჯაროობის შესახებ, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების შედეგები ზიარდება დაინტერესებულ პირებთან მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით,სამუშაო ჯგუფი წარუდგენს დირექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით, შესრულების შედეგებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე სკოლა იყენებს შემდგომი განვითარებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქ.ზუგდიდის N 3 საჯარო სკოლის სტრატეგიულიდა სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება
- სსიპ ქ.ზუგდიდის N 3 საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ჯგუფი;
- სსიპ ქ.ზუგდიდის N 3 საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ჯგუფისსხდომის ოქმი;
- 2024-2025 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ანგარიში;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის მიერ წარმოდგენილია, სკოლის სტრუქტურის შემადგენლობის და პირთა ფუნქცია-მოვალეობების დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება (2023 წლის 21 ივნისის N 2/136 ბრძანება). დოკუმენტი აზუსტებს სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს და დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობას. სკოლის საშტატო განრიგით დასაქმებული პირები არიან: დირექცია - დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ბუღალტერი - თითო-თითო საშტატო ერთეული; მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, დამლაგებელი (ოთხი), დარაჯი (სამი). სკოლის სტრუქტურული მოწყობა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონთან, კერძოდ სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: დირექცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია დასაქმებულთა მიერ დაკავებული შრომითი პოზიციების მიხედვით, არ არის გადაფარული სხვადასხვა დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები, დაკისრებული შრომითი მოვალეობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან (შრომის კოდექსი, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და სხვა) რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურის შემადგენლობის და პირთა ფუნქცია-მოვალეობების დამტკიცების შესახებ დოკუმენტი
- საშტატო განრიგი;
- შრომითი ხელშეკრულებები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილია პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პერსონალის მართვის პროცედურებს. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზანია ფორმალიზებული მიდგომებითა და სტანდარტული პროცედურებით უზრუნველყოს სკოლის პერსონალის მართვის პროცესების წარმართვა, რათა ეფექტიანად და კანონთან შესაბამისობით, შეიქმნას სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას მისცემს დასაქმებულ პირებს თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები.
პერსონალის მართვის სისტემის ორგანიზაციულ მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია დირექტორის მოადგილე.
სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული აქვს შრომის შინაგანაწესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგნოზირებად სამუშაო გარემოს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლის შინაგანაწესით (მე-13 მუხლი) დარეგულირებულია შემცვლელი მასწავლებლის სამუშაოზე აყვანის წესი/პროცედურა. სკოლაში მასწავლებლის მიღება ხდება კონკურსის გზით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონკურსის გამოცხადებამ შეიძლება გამოიწვიოს სასწავლო პროცესის ჩაშლა, კერძოდ გამონაკლისს

წარმოადგენს მოწვეული მასწავლებლის, შემცვლელი მასწავლებლის მიღების პროცედურა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლა პერსონალის შერჩევისას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით, პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით. სკოლას, პერსონალის მიმართ დადგენილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ბრძანება N2/150 20.08.2025 წ) დასაქმებულთა პირადი საქმეების გადამოწმებით დგინდება, რომ თანამშრომლის პირად საქმეში განთავსებულია ცნობა ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ, შესაბამისად **სკოლას შესრულებული აქვს წინა ავტორიზაციის დროს გაცემული რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც სკოლას უნდა უზრუნველეყო ზემოაღნიშნული დოკუმენეტების, პედაგოგთა პირად საქმეში განთავსება. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლას პერსონალის მიმართ დადგენილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მართვა ხორციელდება მონაწილეობით, რაც გულისხმობს პერსონალის ჩართულობას და თანამშრომლობას დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების პროცესში. სკოლის პედაგოგების და მშობელთა წარმომადგენლები კანონმდებლობით დადგენილი წესით არჩეული არიან სამეურვეო საბჭოში, დისციპლინურ კომიტეტში, სკოლის მიერ შექმნილია სამუშაო ჯგუფები (მაგ: მისიის,ხედვის ღირებულებების და სტრატეგიული გეგმის შექმნაზე მომუშავე ჯგუფი) რაც უზრუნველყოფს მონაწილეობით მმართველობის განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებობს წარმატებული გამოცდილებების გაზიარების პრაქტიკის ცალკეული მაგალითები და მას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სასკოლო სივრცეში. აღნიშნული მექანიზმები საშუალებას აძლევს პედაგოგებს გაეცნონ არსებულ გამოცდილებას, დასვან კითხვები, მიიღონ პასუხები, მოტივირდნენ კონსტრუქციული, პოზიტიური უკუკავშირით და აღიარებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- წარმატებული გამოცდილების გაზიარების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- სკოლის მიერ დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

   სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს მანდატური. სკოლა არ არის აღჭურვილი კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით. აღნიშნული საკითხის

გადაწყვეტის მიზნით სკოლას წერილობით მიმართული აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინსიტროსთვის, თუმცა საკითხი გადაწყვეტილი არ არის.

სკოლას მიეცა რჩევა, ვიდეოსათვალთვალო სისტემის მოწყობის სამუშაოების დაფინანსების მიზნით, განმეორებით მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს.

სკოლის ტერიტორია არის შემოღობილი. სკოლას აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. **სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, თუმცა აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, რომლის საფუძველზეც გაკეთებული აქვს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. სკოლის ბიჯეტში, სამუშაოების დაფინანსებისათვის საჭირო თანხების არარსებობის გამო, სკოლას დაფინანსების მოთხოვნა გაგზავნილი აქვს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინსიტროში, თუმცა აღნიშნული საკითხი გადაწყვეტილი არ არის.**

სკოლას მიეცა რჩევა, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად დაგეგმილი სამუშაოების დაფინანსების მოთხოვნით, განმეორებით მიმართოს შესაბამის ადმინსტრაციულ ორგანოებს.

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სკოლას **მიეცა რჩევა** - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა.

სკოლას აქვს შენობის ტექნიკური უსაფრთხოების შესახებ (მდგრადობა) დასკვნა, გაცემული სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, **კერძოდ წინა ავტორიზაციის დაკვნით გაცემული რეკომნედაციის შესაბამისად მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი.** სკოლას ჰყავს ექიმი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება და რომლის კვალიფიკაციაც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლას გაწერილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით №41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტი). განსაზღვრულია სკოლებში მოსწავლეთა და სამედიცინო პერსონალის სარეკომენდაციო რაოდენობათა თანაფარდობა, რომლის თანახმადაც ავტორიზებული სკოლისთვის ავტორიზაციის გადაწყვეტილებით განსაზღვრული (და არა ფაქტობრივად არსებული) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800 და მეტი მოსწავლის შემთვევაში, სკოლას უნდა ჰყავდეს ორი ექიმი. ვინაიდან სკოლაში, მონიტორინგის ვიზიტის დროს მოსწავლეთა ფაქტობრივი რაოდენობა არის 715 და სკოლას აქვს ერთი სასწავლო კორპუსი, ამასთან მოქმედი კანონმდებლობით იმპერატიულად არ არის განსაზღვრული სამედიცინო პერსონალის სავალდებულო რაოდენობა, **სკოლას მიეცა რჩევა, სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობის 800 და მეტი მოსწავლის გაზრდის შემთხვევაში დამატებით აიყვანოს სამუშაოზე სკოლის ექიმი. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურები (სამი მანდატური) სკოლაში არსებობს ინსტრუმენტი/მექანიზმი, რომელიც საშუალებას იძლევა სკოლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნეს ნივთები, რომელთა ქონა/გამოყენება სკოლის ტერიტორიაზე აკრძალულია, კერძოდ სკოლა აქვს მეტალოდეტექტორი. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებულია (შინაგანაწესის მე-7 მუხლი) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილების წესი, კერძოდ შინაგანაწესი ზღუდავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან სკოლის ტერიტორიაზე შესვლას სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო. მრჩეველთა საბჭოს ფუნქცინირების დასადასტურებლად წარმოდგენილი იქნა მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის დირექციასთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს, სასწავლო გარემოს ემოციურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას. სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც იქნებოდა დამატებითი შესაძლებლობა მოსწავლეებს, დაინტერესებულ პირებს საჭიროების შემთხვევაში მიეღოთ კვალიფიციური ფსიქოლოგიური მომსახურება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე კაცებისათვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით. სანიტარული კვანძები განთავსებულია სკოლის სამივე სართულზე. პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი.
სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი".
სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ სასკოლო სივრცეებში არსებული ნესტის გამო, დაზიანებულია სპორტული დარბაზის გასახდელები, სხვა სასკოლო სივრცეები, აღნიშნულის გამო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა საჭიროებს მეტ ყურადღებას. სანიტარიულ და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების მიზნით, **სკოლას მიეცა რჩევა,** შეიმუშაოს მონიტორინგის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის მიერ შემუშავებული ,,სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმით" განსაზღვრული პროცედურების შესრულების პერიოდულ შეფასაებას, სასურველია სკოლამ შეადგინოს სასკოლო სივრცეების პერიოდული დასუფთავება-დალაგების გრაფიკი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლის მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებისა და პროცედურების კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელების უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის 2025 წლის 21 მარტის N02/94 ბრძანებით გამოყოფილია რესურსცენტრის თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს, სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების განხორციელებას. სკოლის დირექტორის 2025 წლის 25 მარტის N 2/29 ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულების საკითხები.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია განთავსებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებ-გვერდზე.

სკოლის შიდა მექანიზმები იძლევა საშუალებას უზრუნველყოფილი იქნას სსსმ მოსწავლეებთან დაკავშირებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დაცვა, მათ შორის, სოციალური ქსელის შესაბამის გვერდზე. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე **შესრულებულია წინა ავტრიზაციის ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ეხება სსსმ მოსწავლეებთან დაკავშირებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დაცვას.**

სკოლას მიეცა რჩევა:

ა) უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სათანადო ჩართულობა მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უზრუნველყოს იგი შესაბამისი რესურსებით, აგრეთვე უზრუნველყოს მისი დამოუკიდებლობა საქმიანობის განხორციელებისას.

ბ) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია პროაქტიულად გამოაქვეყნოს სკოლის ვებგვერდზე ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით.

გ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით შემუშავებული იქნას პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესახებ შიდა სასკოლო დოკუმენტი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (მიმდინარე დოკუმენტები, აქტიური პირადი საქმეები) ინახება საქმის მწარმოებელთან. დოკუმენტებზე და/ან მათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საქმისმწარმოებლისგან აღნიშნული დოკუმენტაციის მიღების და შესაბამისი აღრიცხვის გზით. მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (პირადი საქმეები, კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები), რომელიც არ არის აქტიურ მოხმარებაში , ინახება სპეციალურად გამოყოფილ კარადაში. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით. სკოლის თანამშრომლები გაფრთხილებული არიან ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ. სკოლის მიერ გაწერილი მექანიზმებით შესაძლებელია ინფორმაცია დაცული იქნას გარეშე პირების უკანონო წვდომისაგან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ვალდებულია განიხილოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები და მოისმინოს სკოლის დირექტორის ანგარიში რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მიმართვა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსების თაობაზე;
- ზუგდიდის რესურსცენტრის უფროსის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის გამოყოფის შესახებ;
- სკოლის დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულობის განსაზღვრის შესახებ;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ექიმის დიპლომი;
- სკოლის ექიმთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;
- შენობა-ნაგებობის მდგარადობის დასკვნა;
- მიმართვა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან სკოლის შენობის შესაბამისობის შესახებ;
- სამედიცინო კაბინეტის ინვეტარით აღჭურვის შესახებ ხელშეკრულება/მიღება-ჩაბარების აქტი.
- სახანძრო სისტემის მოწყობის პროექტი, ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის ინფრასტრუქტურა, იძლევა საშუალებას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, გათბობა, სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. სკოლა განთავსებულია სამ სართულიან შენობაში. სასწავლო შენობაში განთავსებულია 31 საკლასო ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სკოლის შიდა სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი, სამასწავლებლო. სკოლის ეზოში განთავსებულია ღია სპორტული მოედანი, რომელიც საჭიროებს კეთილმოწყობას, ვინაიდან მნიშვნელოვნად დაზიანებულია ხელოვნური საფარი, ამასთან მოსაწესრიგებელია სკოლის ეზო.

სკოლას მიეცა რჩევა გარე სპორტული მოედნისა და ეზოს მოწყობის სამუშაოების დაფინანსების მოთხოვნით, მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს სასკოლო რესურსების ხელმისაწვდომობა, რადგან სკოლის წარმომადგენლის მოსაზრებით, ხელმისაწვდომობა გულისხმობს ღიაობას, გამჭვირვალობას და მიუკერძოებლობას სასკოლო საზოგადოების განურჩევლად ყველა წევრისთვის დაწესებულების ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით სარგებლობისას. ხელმისაწვდომობა რესურსებზე ასევე, მნიშვნელოვანი მოტივატორია მასწავლებლებისთვის, სასკოლო გარემოში მეტი დრო დაუთმონ მოსწავლეებთან ინდივიდუალურ ან ჯგუფურ მუშაობას. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

სკოლამ წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველსაყოფად, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში მოაწყო ონკანი და გამწოვი, **ხოლო მცირე ფინანსური რესურსის გამო ვერ განახორციელა სპორტული დარბაზის გასახდელების მოწყობის სამუშაოები, აღნიშნულ სივრცეში, ნესტის გამო კედლები დაზიანებულია. მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა სკოლის დირექტორის განმარტებით სივრცის გამოყენება, მაინც ხდება მოსწავლეების მიერ, შესაბამისად აღნიშნული სივრცეები ხელმისაწვდომია.**

სკოლას, სასკოლო ინფრასტრუქტურის მოწყობის დაფინანსების თაობაზე შესაბამისი მიმართვა გაგზავნილი აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში (2025 წლის 11 აპრილის მიმართვა), თუმცა საკითხი გადაწყვეტილი არ არის.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N 2/105 13-06-2024) დამტკიცებულია ბიბლიოთეკის მუშაობის წესი, რომელიც არეგულირებს სკოლის ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებისა და სარგებლობის წესს. სკოლის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკარი, რომელთანაც სკოლას გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველ დღე შაბათ –კვირისა და შრომის კოდექსით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა 09:00 საათიდან 17:00 საათამდე. ბიბლიოთეკის გამართული მუშაობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოსწავლეთა განათლების, კულტურისა და ზოგადი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა, თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო რესურსით უზრუნველყოფა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის მისადაგებული სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე, კერძოდ სკოლის შენობა არ იძლევა, მეორე და მესამე სართულზე ეტლით მოსარგებლე პირთა გადაადგილების საშუალებას. სკოლის შენობის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი.
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციის თანახმად, სკოლა ვალდებულია დაიცვას ,,გონივრული მისადაგების" პრინციპი, რაც გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას, ამასთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბავშვის უზენაესი ინტერესები. ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სკოლის ინფრასტრუქტურა უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომი.
სკოლას, სასკოლო ინფრასტრუქტურის მოწყობის დაფინანსების თაობაზე შესაბამისი მიმართვა გაგზავნილი აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში (2025 წლის 11 აპრილის მიმართვა), თუმცა საკითხი გადაწყვეტილი არ არის.
აღნიშნული გარემოებების გამო დასკვნის პროექტში დაფიქსირდა ხარვეზი.

დაწესებულებამ 2025 წლის 04 სექტემბრის MES 2 25 0001068924 კორესპონდენციით წარმოადგინა, არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ეხება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას ხარვეზთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, სკოლამ სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ჩართულობით შესაბამისი ღონისძიებები უნდა განახორციელოს 2026 წლის სექტემბრის ჩათვლით.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2026 წლის სექტემბერი) უზრუნველყოს, სკოლის ინფრასტრუქტურის მისადაგება სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე, იმგვარად რომ შესაძლებელი იყოს პირველ სართულზე განთავსებულ სპორტულ დარბაზში, მეორე და მესამე სართულზე არსებულ სივრცეებში ეტლით მოსარგებლე პირთა გადაადგილება.

ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის შენობა-ნაგებობა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლას აქვს შესაბამისი ავეჯი/ინვენტარი, სკოლის შენობაში განთავსებულია

სააქტო დარბაზი. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გაკვეთილების შემდეგ დარჩნენ სკოლაში კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;*
- *ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა;*
- *ბიბლიოთეკართან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;*
- *სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესი.*

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლას აქვს სათანადო რაოდენობის კომპიუტერები. სკოლის აქვს პორტატული ჭკვიანი დაფა, რომელიც არის მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსი და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში მაქსიმალურად უზრუნველყოფილია ის, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლის დირექციის განმარტებით მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლაში არსებული ტექნოლოგიებით, ისე რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს.
სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში 29 ერთეული კომპიუტერული ტექნიკაა, რომელიც გამართულ მდგომარეობაშია და ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვისდა მასწავლებლებისთვის. სკოლას მიეწოდება უსადენო ინტერნეტი (WIfI). გარდა ამისა, დაწესებულებას აქვს 7 პროექტორი, 10 ცალი მონობლოკი, ერთი პორტატული ჭკვიანი დაფა და 22 პორტატული კომპიუტერი, რომელიც სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს მასწავლებლებისათვის, როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს სასწავლო პროცესში, რაც, სტრუქტურული ერთეულების მუშაობას (კათედრები, პედაგოგიური საბჭო) ეფექტურს ხდის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლამ წარმოადგინა საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. წესი სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის. აღნიშნული წესი შესაბამისობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან და აზუსტებდეს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება. საქმისწარმოების წესი არ მოიცავს ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს, სკოლაში საქმისწარმოება მატერიალურთან ერთად ხორციელდება ელექტრონული („eflow") სისტემის საშუალებით. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე **სკოლას მიეცა რჩევა** ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებული საკითხები სრულყოფილად დაარეგულიროს საქმისწარმოების წესით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა დოკუმენტებს ამუშავებს ელექტრონულად, საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow გამოყენებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის ,,ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" N08/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის დირექციასთან, საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით დგინდება, რომ დროულად ხდება ანგარიშების, უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას დამტკივებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება, სადაც განსაზრვრულია: მშობლებისა და სკოლის უფლებები, ვალდებულებები, მოსწავლის მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგია, საანმანათლებლო საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების დაგეგმვა და დანერგვა. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციის მიზნით სკოლა იყენებს ფეისბუქ გვერდს და ვებ-გვერდს, აღნიშნულ ელექტრონულ რესურსებზე სკოლის მიერ პერიოდულად ხდება, საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებით, შესაბამისი ინფორმაციის განთავსება, არსებული ინფორმაციის განახლება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ არის სანდო და უტყუარი. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამოწმებას და საჭიროების შემთხვევაში დადასტურებას. ექსპერტთა მოსაზრებით სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს ინფორმაციის მართვადობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად იყენებს არსებულ საკომუნიკაციო არხებს (მისიის, ხედვის, ღირებულების შემუშავების პროცესში მიღებული უკუკავშირის შედეგად სკოლას განსაზღვრული აქვს სტრატეგიული მიზნები და ამოცანები), მიღებული უკუკავშირის გამოყენება ხდება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელზედაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, სკოლის ბიუჯეტი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;
- სკოლის ვებ.გვერდი skolebi.emis.ge

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

1. ვიზიტის დღის წესრიგი.

თარიღი: 05.09.2025 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: